

შინაური საქმეები.

№ 33.

ფასი ერთი შაური

ფლიური ფასი 4 მან.

წელიწადი მებუთე.

სოციალ-კვირული გაზეთი

კვირა, 16 სექტემბერი 1912 წელი

ფაქულ-კვირული გაზეთი

შინაური საქმეები

ხელის მოწერა მოიღება (რედაქციაში, ქ. ქუთაისში) საბურთალო—კახკაფის რედაქციაში, და თბილისში კამომეცოდნის სომხის ბაზარში, სიმონიანის რუხის მდებარეობაში, გამოცემა უფასო ოთხი ნომერი.

გაზეთის ფასი:

წლიური ფასი:	4 მანეთი.	წლიური ფასი:	2 მანეთი.
წახ. წლიური:	2 მანეთი.	სამი თვის:	1 მანეთი.
		ერთი თვის:	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულით შემოტანა წლიური ფასის მოწვევით შემოსებასე განაწილებს: თვედგან 2 მ. და 1 ივნისს 2 მ. განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტრეტო სტრუქციონი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ადრესი: ქუთაისი: „შანსური საქმეების“ რედაქცია.

შინაურსი: 1. მღვდლის მოვალეობა საზოგადო და კერძო ქველმოქმედების საქმეებში—მღვ. სერგი მაკარაშვილისა; 2. კიდევ ჩვენ ხალხურ პოეზიაზე (დასასრული)—მღ. მ. კელენჯერიძისა; 3. საღ მიდის საფირჩხის სასაფლაოს შემოსავალი და რათ მართებს ეკლესიას ვალი?—მოკეთესი; 4. ლოთობა (გაგრძელება)—მღვ. კ. ანთაძისა; 5. დეკანოზი იოსებ კიკაჩიშვილი—დეკ. ა. ბეგაძისა; 6. სიტყვა, დეკ. იოსებ კიკაჩიშვილის ცხედრის წინ—ლიკ. ი. სვანიძისა; 7. წერილი ზემო იმერეთიდან—ერთი მორწმუნე მრევლთაგანისა 8. სამეგრელო—თ. ტიქინაძისა; 9. წერილები რედაქციის მიმართ; 10. მადლობის გამოცხადება.

მღვდლის მოვალეობა საზოგადო და კერძო ქველმოქმედების საქმეებში.

ქველმოქმედება ერთი უსაქიროესი და გაღვდებული მოვალეობათაგანია ქრისტიანეთათვის. სამღვდლოება, თუმცა ხშირად მოაგონებს ხოლმე ამ საგანზედ ხალხს, მაგრამ მარტო სიტყვიერი მოგონება არ კმარა, საჭიროა და აუცილებელიცა საქმით გაუწიოს მას ხელმძღვანელობა ამ წმიდა საქმეში. შემთხვევები ამისათვის ყველგან და ყველასათვის მრავალია, განსაკუთრებით კი ბევრია სოფლად, სოფლის სამღვდლოებისათვის.

თი ერთი ამისთანა შემთხვევათაგანი. ამას წინაღ, როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, თითქმის მთელს დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით კი ზემო იმერეთში

ხალხი მოუსავლობის გამო შიმშილობას განიცდიდა. რასაკვირველია, ყველას ერთნაირად არ უჭირდა, განსაკუთრებით, გაჭირვებას განაცდიდა ღარიბი ნაწილი მუშა ხალხისა. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ეს შემთხვევა და რამდენადაც შესაძლებელი იყო ხალხს დახმარება აღმოუჩინა, მაგრამ ბევრი კიდევ მაინც გაჭირვებულ მდგომარეობაში დარჩა. სწორედ ამ გაჭირვების დროს ერთმა სოფლის მოძღვარმა მამობრივი ყურადღება მიაქცია თავისი მრევლის ღარიბების და საწყლების უნუგეშო მდგომარეობას და შემდეგი ღონე იხმარა მათი დახმარებისათვის. ერთ კვირა დღეს, წირვის შემდეგ, გამოასვენა მან წმ. სახარება და კრძალულებითა და გრძობიერად წაუკითხა ხალხს იესო ქრისტეს საუბარი მეორედ მოსვლაზე: „მშობი და მეცით მე ქამადი, მწყურადა და მასვით მე“ და სხ. „შემწეობას, რომელსაც ჩვენ აღმოუჩინეთ გაჭირვებულებს“, განაგრძო მან, „უფალი მიიღებს და დააფასებს ისე, ვითომც თვითონ მისთვის აღმოგვეჩინოს ჩვენ იგი, ამისათვის ნეტარი და ბედნიერი იქნებიან ისინი, რომლებიც გაჭირვების დროს სხვებს შემწეობას აღმოუჩინენ, მეორედ მოსვლის დროს უფალი ჩვენი იესო ქრისტე დაიხლოვებს მათ, დააყენებს მარჯვენით თვისა და მინიჭებს მათ სასუფეველსა და დაუსრულებელ ნეტარებას. აი ძმანო! ხომ ბევრი ჩვენგანნი მოუსავლობისა გამო შეიქნენ მშვიერი, შიშველნი და გაჭირვებულნი, ვისმინოთ სიტყვა ღვთისა; შევეწიოთ მათ, რითაც კი შეგვიძლია, რომ ღმერთი ჩვენც შეგვეწიოს და გვიხსნას აქ ზედმეტი გაჭირვებისაგან და მომავალ ცხოვრებაში კი ნეტარება მოგვანიჭოს“. ისეთი გავლენა იქონია მოძღვრის ამ გრძობით საესე სიტყვამ ხალხზე, რომ რამოდენიმე შეწირულება ამ საგანზე ეკლესიაშივე მოხდა. შემდეგ არჩეულ იქნა ამ საქმისათვის რამდენიმე კაცი, რომელთაც დანიშნულ ვადაზე მოძღვრისავე მეთაურობით ჩამოიარეს სოფელი და შეაგროვეს პური, სიმინდი და სხ., რომელიც თანასწორად გაუყვეს გაჭირვებულებს და მით მათი უნუგეშო მდგომარე-

ობა გამოაკეთეს და უმთავრესი რაც არის, აგრძობინეს მათ, რომ მათზედ ზრუნავდნენ, იგინი ებრალეზოდათ.

ამისთანა და ამის მსგავსი შემთხვევები სხვაც მრავალია სამრევლოებში. ავიდოთ მაგალითად: როგორი უბედურება დატრიალდება ხოლმე წყალდიდობისა და ნიაღვარის დროს, როდესაც მუშა ხალხის ნაშრომ-ნაღვაწს წყალი წალეკს! რანაირი გაჭირვება და განსაკუთრებული წარმოსდგება ცეცხლის გაჩენისა გამო, როდესაც მთელი ქონება ფერფლად იქცევა და ადამიანი უსახლკაროდ და ულუკმა-პუროდ რჩება! რანაირ გაჭირვებასა და შეწუხებას განიცდიან ხოლმე ქვრივები, ობლები, მოხუცებულები, რომელთაც, მრჩენელთა და მეპატრონეთა გარდაცვალების შემდეგ, შემნახველნი და გამომრზდელნი აღარ რჩებათ! აი ამისთანა შემთხვევებისათვის მოძღვარი ყოველთვის მზათ უნდა იყოს მეთაურობა გასწიოს და დაზარალებულთა და გაჭირვებულთათვის შესაწევარი შეაგროვოს ფულით, სანოვავით და სხ. შესაწევარის შეგროვება უფრო ხელსაყრელია დიდს დღესასწაულებში, მაგ. იესო ქრისტეს შობისა და აღდგომის და სხვა დიდ დღეებში, ტაძრის დღესასწაულებში და სხ., როდესაც ხალხი უფრო შემზადებული იქნება ყოველგვარად ქველმოქმედებისათვის. ქალაქებში სხვა-და-სხვა საზოგადოებებია შემდგარი ასეთი შემთხვევებისათვის, სოფლებში კი თუ არა მოძღვარი, სხვა ვინ მიაქცევს ამ საგანს ყურადღებას? ასეთ საერთო ქველმოქმედებას დიდი მნიშვნელობა აქვს: ერთი მხრით ღარიბების მდგომარეობას გააუმჯობესებს მატერიალურად და მეორე მხრით ზნეობრივად აღამაღლებს ხალხს, ვინაიდან მდიდრებს და ღარიბებს დაახლოვებს, აღძრავს მათ შორის სიყვარულის, ძმობის და ერთობის გრძობას და საერთოდ ყველას გაუღვიძებს სინიდიის და მონაწილეობას მიაღებინებს ამ წმიდა საქმეში, ღარიბებსა და საწყალ ხალხს იხსნის სულიერად და ცემისაგან, მათხოვრობისგან და სოფელ-სოფელ სიარულისაგან.

კერძოთ, სამღვდელელოებას შორისაც ხში-

რად ისეთი შემთხვევები ხდება მაგ. უეტარი სიკვდილისა, ავადმყოფობისა და სხვა მოულოდნელი ცუდი შემთხვევებისა გამო, რომ დახმარება ამისთანა შემთხვევებში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ჩვენ კი ამისთანა შემთხვევებს ჯეროვან ყურადღებას ვერ ვაქცევთ. თუ ამისთანა კეთილი საქმეების ფართოდ და საზოგადოდ მოწყობა საძნელო ხდება, კერძოთ მინც, მაგ. სამრევლოებში, ხომ ადვილი საქმეა, მხოლოდ მონდობა და ხელმძღვანელობაა ჩვენი მხრით საჭირო. მეტად საჭიროა, ამ ვადუღებელ და აუცილებელ საგანს ყურადღება მიექცეს.

მღ. სერგი მაქარაშვილი.

მიღევ ჩვენ ხალხურ პოეზიას.

(ნასუსად ჩვენს გერასტრატებს).

(დასასრული).

„მხოლოდ ამ გზითაა შესაძლო ეროვნული საქმის შენება, — ამბობს ერთი მეცნიერი რუსებისა, — შენება იმ საქმისა, რომელიც ჰქმნიდა ძლიერ სახელმწიფოებს ერთი სულით, ერთი გულით. ეროვნული პოეზია — ესაა საუკეთესო იარაღი, ყველაზე უადვილესი და სასიამოვნო, რომ ჩაიხედო ხალხის ცხოვრებაში. სიმღერა, რომელსაც დამღერის დედა აკვანზე, ბავშვთა ცელქური სიმღერები, სადაც დატულია კვალი უძველეს წარმართულ წარსულისა, საოჯახო ლექსები, ხშირად უსაზღვროდ ღრმანი, ხშირადაც „უწმაწური“ ჩვენი შეხედულობით, ხან სახუმარონი, ხან ნაღვლიანი, ხან სერიოზულნი, ხან უზრუნველობით აღსავსენი, ბოლოსაც საქორწილო და საქირისუფლო, ყველა ეს ისე შემოფარგლავს ერის ცხოვრებას, ყველა მის კერძობას და თავგადასავალს, მის ბრწყინვალე და ბნელ მხარეებს, რომ მისი შინაარსის სიმდიდრესთან და ყოველმხრივობასთან ვერ მივა პოეზია საუკეთესო ლირიკოსებისა.

„ძველი თქმულება, რომელიც კვდება სამ-
1) იხ. „შინ. საქ.“ № 30 — 31.

შობლოს განაპირა კუთხეებში, სიმღერა — ბალადა კერძო ცხოვრების ბნელი და მხიარული შემთხვევების შესახებ, არა ჭკუამახვილი გამოცანა, რასაც ჩვენ შევყავართ ერის სიბრძნის სიღრმეში, მხიარული ხუმრობა-გასართობი — ყველა ეს არის ის მარგალიტები, რომლითაც ერს შეუძლია იამაყოს! ვერავითარი სახელმძღვანელო, ვერავითარი ქრისტომატია ვერ შესძლებს გადმოგვცეს მთელი ეს სიმდიდრე აზრისა, გრძობისა, სიმდიდრე და მრავალფერობა ამ ქმნილებისა. სასწავლო წიგნებში მარტო „მაგალითების“ მოყვანა შეიძლება, რაც ვერ შეიცავს მთელ არსებულ მასალას. ამ მასალას რომ ღრმად და ფართოდ გავცნოთ, საჭიროა მიმართოთ მეცნიერულ კრებულებს ლექსებისას, ზღაპრებისას, ანდაზებისას; საჭიროა ამათი წაკითხვა მთლიანად, თანაც უნდა ეცადო აღადგინოთ სულიერი მდგომარეობა მისი შემქნელი ერისა და შეიგნოთ ეს ნაწარმოები მთელი მისი სიფართით. მაგრამ ასეთი გაცნობაც ერთმხრივი გამოვა. არაა საკმარი მარტო სახელმძღვანელო ბოტანიკისა, ან ატლასი, რომ შეიგნო თვისებანი და ცხოვრება რომელისაზე ყვავილისა. ვერავითარი სიტყვით და სურათით ვერ გადასცემ ყვავილის სურნელს და ფერადებს, — უნდა მინდვრად მიიქცე, რომ იქ დასტკე მათით. მსგავსად ამისა, ეროვნულ პოეზიაშიც არი არომატი, რომლის აწერა შეუძლებელი ხდება; რომ გაიგო „სიმღერა“, ან „ზღაპარი“, უნდა მოისმინო, როგორ მღერიან, როგორ მოუთხრობენ. ესეც ცოტაა: საჭიროა შესაფერი მორთულობაც, რომ ეს პოეზია არ ემსგავსოს ორანჟერეის მკრთალ ყვავილს. ხალხის პოეზია ისეა შეწოვილი ცხოვრებაში, რომ მისი ამოგლეჯა ცხოვრებიდან შეუძლებელია. ის მაშინ დაქნება და დაჰკარგავს ყოველ სიმშენიერეს სიახლისას და ცხოველმყოფელობისას. ამიტომაცაა, რომ, თუ გინდა გაიგო და იგრძნო გაზაფხულის სიმღერების პოეზია, უნდა გახვიდე ბნელ ტყეში, გაზაფხულის მთელი არომატით სავსეში, და იქ მოისმენ — იგრძნობ იმ სიმღერებს, რომელთაც მღერიან გოგობიკები; უნდა უტკირო მხიარულ ფერხულს,

მწვანე მინდორზე ჩაბმულს, უნდა შეიხედო გლეხის ქოხში იმ წუთს, როცა იქ კახმენ გოგოს და ამხადებენ გვირგვინისათვის, უნდა დაესწრო ზამთრად ბნელ ქოხში, სადაც ქარბუქი ზუზუნებს ფარდულებში და მოხუცებული ბაბუა მბეუტავი კვარის შუქზე კბილებ ჩაცვივნილი ჩიფჩიფით უთხრობს ზღაპრებს დიდებს და პატარაებს... მხოლოდ ამ პირობებში ჰპოვლობს ეროვნული ზეპირი პოეზია შესაფერ მშვენიერებას და ფასს“.

ამას დაუმატეთ ისიც, რომ სულ თავისებურად მღერის, ცეკვავს, მოგითხრობს, სვანი, რაჭველი, მეგრელი, იმერელი, გურული, აჭარელი, ქიზიყელი, ახალციხელი, ფშავ-ხევსური. როგორ უნდა გაითვალისწინო ყველა ეს სხვადასხვაფერობა, თავისებურობა, ეს ინდივიდუალური, სპეციფიკური ელფერი თითოეული კუთხისა, თუ არა ადგილობრივი ნახვა-შესწავლით და ცალკე კრებულების გამოცემით, ეს ვერ შეუვნიათ ჩვენში ზოგიერთთ.

დევ, იარონ ჯერ-ჯერობით თვალახვევით, ალბად ჯერ არ მოსულა დრო მათ თვალის ახელისა, გონზე მოსვლისა. ჩვენ კი ჩვენი გზით უნდა ვიაროთ და არ მოვაკლოთ ჩვენი ზრუნვა ამ ეროვნულ საკუთხეველს. ყანა დიდა, მუშაკი გვაკლია. საქმე არც ისე ძნელია, თუ შეგნება და ენერჯია გვექნება. საჭიროა სოფლად კრეფა ხალხის ზეპირი თქმულებებისა, მათი სინამდვილით ჩაწერა და გამოცემა. ამ შემთხვევაში ჩვენი პირველი იმედი უნდა იქნეს დამყარებული გარდა თითო ოროლა ერთგულ მუშაკებისა, სოფლის მასწავლებლებზე და მღვდლებზე, ესენი მუდამ ხალხში ტრიალებენ, ხალხსაც იცნობენ, და მათში ჯერეთ ცოცხლებ მონახსოვრე მოხუც მოხრობელებსაც. მიყონ ხელი ამის წერას ნელ-ნელა და მალე დარწმუნდებიან, რომ უკეთესს ვერას გაუკეთებენ ხალხსა და სამშობლოს. ეს საქმე ყველისათვის ადვილია, მაშასადამე რატომ არ უნდა შესრულდეს ეს დიდებული საერო, საქვეყნო, საშვილიშვილო საქმე?!

ვეროპამ ამ ბოლო დროს სუნი იკრა ჩვენი ეროვნული მუსიკისა და პოეზიისა; იწყეს

შესწავლა კიდევ. ვინაა ვალდებული, რომ ხელი შეუწყოს მათ? ჩვენ და მარტო ჩვენ. იგრძენეს რაღაცა დაუჯერებელი მათთვის თავისებურობა და სიკეთე ჩვენი მუსიკისა, გაკვირვებულნი ჯერ კიდევ ეკითხებიან ერთი მეორეს, რას ვხედავთ, რა გვესმის, ხომ არ ვტყუვდებით, ნუ თუ ვერობას აჯობა ქართველმა ერმაო! ასეთი სიმღერები შექმნა მასამ, რომელიც ჩვენი კომპოზიტორების სიმფონიებს უდრისო. დიად, ასეა, უკვირთ და საბუთიცა აქვსთ ამისა. თურმე მამაპაპანი კარგები ყოფილან, რომ შეილები დარჩენილათ შესაფერი, ეროვნული საუნჯის მომპატრონებელი და გამძლოლი.

ასეა საქმე და ყველა უნდა ადვიტურვით ნოტის ცოდნით, ყარანდაშით, ქალღღით, გრამოფონით, ვიაროთ, ვსწეროთ და ვილოთ ხალხური მუსიკა—პოეზია. ამასთანავე ჩვენი სტიპენდიები მუქთა-ხორა და არარას მკოდნე ექიმებსა და ბუნებისმეტყველ—დარვინისტებს კიარ უნდა ვაძლიოთ, არამედ ნიჭიერ მემუსიკეებს—კომპოზიტორებს—მომღერლებს, მხატვრებს, ფილოლოგებს, რომელთაგანაც რაღაცას ველით. ეს საქმე ყურადღების ღირსია და მივაქცევ მათ ჩვენ კულტურულ დაწესებულებათა ყურადღებას.

საბუთიცა გვაქვს ამისა. ხშირად ჩვენი კაპეიკები უმნიშვნელოთ, უზროთ იკარგება ჩვენი გაუგებრობით. მაგალითად ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ ნორჩ განყოფილებას გადაუწყვეტია თავისი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად სახალხო წიგნების ბეჭდვა დაიდოს და დაისახოს და პირველ წიგნად დარვინის თეორია დაუბეჭდია. ეს ფაქტია, ფაქტი სავალალო და სამარცხვინო. ნუთუ სარაჯიშვილები, ლოღობერიძეები, გოგებაშვილები და სხვა ჭირისუფალნი ჩვენი ერისა იმისთვის უტოვებენ მათ ფულებს, რომ დარვინის თეორიები ბეჭდონ!? ნუთუ ესაა მათი მიზანი?! ნუთუ ამაზე უკეთესი ვერაფერი მოიგონეს. კეუა გონებას ვადასცდაო ამაზეა ნათქვამი. ვფილოსოფოსობთ, როცა ფილოსოფოსები არა ვართ: სხვას ვემსახუ-

რებით, როცა თავისთვის უხეირონი ვართ. ასე სჯერათ ზოგიერთებს ჩვენში, რომ ამ „სოციალიზმის“ დროს სირცხვილია ვითომ ქართველობა და ქართველების საჭიროებაზე ზრუნვა. გამომდგარან ეს გეროსტრატები და თავისავე მამას აგინებენ, სხვის მამას კი ემსახურებიან. ვინ კითხავთ, ამ უცნაურებს! სხვებს სიცილი მოსდის, თავისთვის არ ვარგლან და ჩვენთვის ზრუნვენო. ერთი დაფიქრდენ ნეტავი, რომ ამ სოციალიზმის დროს ისე გამწვავდა ეროვნული საკითხი, ისე გაფანტავს ერები ეროვნულ საკითხებში, როგორც არაოდეს. აიღეთ სოციალიზმის სამშობლო — ბუდე გერმანია, თუ გერმანია საერო საკითხებში, საკუთარ პოლიტიკაში ყველაზე უფრო თავგამოდებული არაა და ფანატიკოსი. აიღეთ და წაართვით ან სთხოვეთ მათ ერთი მუქა, ერთი დაჯდომა მიწა, თუ ქვა და გუნდი არ მოგაყარონ; შეეხეთ მათ თავმოყვარეობას, ეროვნულ ინტერესს, თუ მთელი ფლოტით და არმიით არ მოგესიონ. დიად ბებელის სამშობლო სოციალიზმსაც თავგამოდებით ქადაგობს და ამავე დროს ყველა ერებსაც სჭარბობს ეროვნული საკითხების თავის სასარგებლოდ გადაწყვეტაში. გერმანიის სტუდენტობამ ცალკე საკრივო ასპარეზები აიჩინეს, სადაც სისტემატიურად კრივში იწვევენ სხვა ეროვნებათა სტუდენტებს და მუჯლუგუნებით ცემენ — ტყეპენ მათ, რაო და როგორ გაბედეთ და ჩვენი ერი ავად როგორ მოახსენეთო! ჩვენ კი ჩერჩეტები, აბღლები ლუქმას ვიძრობთ პირიდან და იმას ვაწვდით სოციალიზმის სახელით, ვისაც ისედაც ბევრი აქვს. ვაი ჩვენი ბრალი! რა გვიშველის ჩვენ!

დასასრულ, უღრმეს მადლობას ვწირავ ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, იმ ყურადღებისათვის, რომლითაც იგი შეხვდა ჩემს წინადადებას შესახებ ჩემ მიერ შეკრებილი მასალისა ქართული ზეპირსიტყვიერებიდან. ვუსურვებ ჩვენს მოამაგე საზოგადოებას, რომ სამაგალითოდ და შესახედავად სხვებისა ყოველთვის ამ ტეშმარტ ეროვნულ ნიადაგზე მდგარიყოს და მით ღრმა კვალი გაეელოს ჩვენი

ერის თვითცნობიერების წინსვლის საქმეში, ჩვენ დიდი ზნეობრივი ნუგეში მივიღეთ საზოგადოებისგან და ვეცდებით აწი უმეტესი ენერგიით განვაგრძოთ ის საქმე, რომელსაც ჩვენ ოცი წელია (სკოლის სკამიდან) ვემსახურებით შეძლებისდაგვარად.

მლ. მ. კელენჯერიძე.

სად მიდის საფირჩხისის სასაფლაოს შუქოსაყალი და რათ მართებს ეკლესიას ვალი?

საფირჩხისის სასაფლაოს ეკლესიას, რომელიც ჯერ მოთავებულიც არ არის, როგორც გვესმის, დიდი ვალი მართებს სხვადასხვა ეკლესიისა და მონასტრებისა. ვამბობთ, როგორც გვესმის, რადგან ჩვენ, ერისკაცებს ფულს კი გვთხოვენ და იმის ანგარიშს კი არ გვაძლევენ, თუ რაში დაიხარჯა ეს ფული, რა მდგომარეობაშია ეკლესია და რა ეჭირება მას კიდევ; ე. ი. მართლმადიდებელ ეკლესიაში ჩვეულებათ არ არის, რომ ერმა თავის ეკლესიის ამბავი იცოდეს. ამიტომ ნურავინ დაგვძრახავს, რომ ექვის თვალთ უკურბდეთ ჩვენი სასაფლაოს ეკლესიის ვალს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კარგი პატრონის ხელში ამ ეკლესიას ვალის აღება არ დასჭირდებოდა, რადგან თითქმის მთელი ქუთაისი, ან უკეთ ვთქვათ, მისი საუკეთესო ნაწილი ამ სასაფლაოზე იმარხება და სასაფლაოს ფულიც ბლომათ შესდის. დანამდილეებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სასაფლაოს წელიწადში არა ნაკლებ სამი ათასი მანეთისა უნდა შეუდიოდეს. ამ ვარაუდით რომ ვიანგარიშოთ, სასაფლაოს არა ნაკლებ ოცდაათი ათასი მანეთისა უნდა შემოსელოდა დღიდან სასულიერო მართებლობის ხელში გადასვლისა და ნუ თუ ამდენი ფული არ ეყო ამ პატარა კოჭოპა სასაფლაოს ეკლესიას? ჩვენ არ ვიცი აქცევს თუ არა ყურადღებას სასულიერო მართებლობა ამ გარემოებას, საჭირო კია, რომ დღეიდგან მაინც მიექცეს. დარწმუნებული ვართ კარგ ქირისუფლის ხელში ეკლესია მალე გაისტუმრებს ვალს და თავის თავსაც მა-

ლე გაიმწვინებს. თუ სხვა ქალაქების სასაფლაო ეკლესიები მშვენიერი მორთულია და ფულიც აქვს, ჩვენმა სასაფლაოს ეკლესიამ რაღა დააშავა? ქუთაისში ხალხი არ იხოცება თუ, არ ყიდულობენ სასაფლაოს თუ? მაშ რაშია საქმე? გაგვაგებინეთ ბატონებო! ვანა რიგიანი არ იქნება სასაფლაოს შემოსავლის ანგარიში ყოველწლივ ცხადდებოდეს გაზეთის საშუალებით? კარგი იქნება ადგილობრივი სასულიერო მთავრობა ანგარიშს მოითხოვდეს ვისგანაც ჯერ არს, რომ გავიგოთ რათ მართებს იმ ეკლესიას ვალი, რომელსაც ანგარიშით ცოტა რამ შენახულიც უნდა ჰქონდეს.

მოკვთე.

ლოთობა.

(გაგრძელება*).

სტატისტიკური ცნობებიდან ვგებულობთ თუ რა დამლუპველი შედეგები მოჰყვება ხოლმე ლოთობას; მაგარი სასმელების მიღებისაგან აღარბეული ხალხა იღუპება სულიან-ხორციანა. მასთან საბრძოლველად დააარსეს სხვადასხვა სახელმწიფოებში საავადმყოფონი, თავშესაფარნი, გამასწორებელი სახლები და სულით ავადმყოფთათვის სახლები. მაგრამ ასეთ დაწესებულებათ რა ძალა აქვს ასეთი ხალხის გამანადგურებელ ჰერის წინააღმდეგ და ერის მთელი მოდგმა უნდა გახდეს მისი მსხვერპლი, უნდა დაეცეს ზნეობრივად, ფიზიკურად და ეკონომიურად. ამ ბოროტებიდან წარმოსდგება სილატაკე, უზნეობა, დამნაშაობა და ურწმუნოება, თუმც ხსნის იმედი კიდევა**)

ახლა გავითვალისწინოთ, თუ რამდენათ ღირსია ყურადღებისა ეს ბოროტება, ლოთობა. საშველ ევროპის საავადმყოფოებში 10—15% სწევლან ლოთები (შვეცია). დაილი ირწმუნება, რომ შვეციაში 60% იდიოტებისა არიან ლოთების შვილები. ინგლისში გამოიკვლიეს, რომ ერთ მილიონ ღარიბებში, რომელთაც

ინახავს სახელმწიფო, 800,000 ლოთია. 1872 წ. დიდ ბრიტანიის მცხოვრებთ ერთი მეოთხედი თავიანთი მონაგარიდან დაუხარჯავსთ სპირტიან სასმელების საყიდლად. ჩრდილო ამერიკაში და რუსეთში შენიშნულია, რომ 75% დამნაშავეთა არიან ალკოგოლიკები, სხვა სახელმწიფოებში 50%. მატულობს ალკოგოლის ხარჯვა, მატულობს თავის მოკვლაც: 50% თავისმკვლელნი ლოთები ყოფილან. რუსეთში, მარტო ერთს სიმბირსკის გუბერნიაში, — როგორც ამტკიცებს სტატისტიკა, — 1908 წელს დაუღლევით 971,814 ვედრა არაყი, სულ 9,718,640 მანეთისა. თუ მივიღებთ მხედველობაში სიმბირსკის გუბერნიის მცხოვრებთა რიცხვს, გამოვა რომ თითოეულ სულს დაუღლევია ორი ვედრა არაყი. რუსეთის იმპერიაში 1910 წ. დაუღლევია 90 მილიონი ვედრა არაყი 759 მილ. მანეთისა. სული გიწუხს ადამიანს ასეთი ციფრების შეხედვით. მერმე რა სარგებლობას მისცემდა ხალხს ეს ამოდენი ფული რომ სხვა საქმეებზე გადადებულყო. ამ ფულით შეიძლებოდა კულტურის აყვავება, ფართოთ განათლების შეტანა მდაბიო ხალხში და სხ. სამწუხაროდ ჩვენ ამჟამად ხელთ არა გვაქვს ცნობა, თუ რამდენი ისმება ღვინო და არაყი ჩვენს საქართველოში, თუმცა თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ წინეთ არა, ახლადა ახლა ლოთების რიცხვი თანდათან მატულობს ჩვენშიაც.

ალკოგოლს უბედური შედეგი მოჰყვება ხოლმე როგორც ლოთებისათვის, ისე მათის შთამამავლობისათვის და ჩვენც ვეთანხმებით პელომონს, რომელიც ამტკიცებს, რომ ლოთ მშობლებს ჯანმთელი შვილები არ ებადებათო.

უკანასკნელნი დაიმკვიდრებენ მშობლებიდან ან მაგარ სასმელებისაკენ მიღრეკილებას, ან ნერვების სისუსტეს, ისინი ხშირად ხდებიან ავით ნერვების სისუსტით, იდიოტიზმით და სხ. მათი შვილები ღიდსხანს ვერ სცოცხლობენ, დაბადებიდან ცოტა ხნის შემდეგ იხოცებიან ტვინის ანთებით. ეს რომ ასე არ ყოფილიყო საზოგადოება ვერ აუვიდოდა საავად-

* იხ. „ზინ. საქ“ № 30—31.

**] Доктор Ильинский. Водка и спиртные напитки как причина болезней.

მყოფობის გამასწორებელ და თავშესაფარ სახლების აგებას. ერთმა ნასწავლმა ფრანგმა მოახდინა გამოკვლევა ლოთის შვილებზე. ერთ კაცს ჰყავდა 16 შვილი, ამბობს იგი, რომელთაგან 15 ახალგაზღვრაში მოკვდა და ერთად ერთი შვილი, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, თავის სიცოცხლეში დამბლით იტანჯებოდა.

მშვენიერი გამოკვლევა აქვს ექიმ მათეუსს მემკვიდრეობის შესახებ: „უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში, სწერს იგი, — ნორვეგიაში შენიშნულია თანდათან ზრდა განდიდებისა, მელანხოლიისა, კკუა-თხელობისა და ილიოტიზმისა. მათ შორის 60% ყოფილა ლოთების შვილები“. ვენის სულით ავათმყოფთა სახლში 50%—60% სულით ავადმყოფი აღმოჩნდა ლოთი. ამ საავადმყოფოში, რომლის გამგე თვით მათეუსია, 64 პსიხოპათია შორის 3/4 ყოფილა მემკვიდრეობით გადმოსული ლოთი. ექვსი წლის განმავლობაში 1903—1909 წ. წ. ქალაქ ადესაში ყოფილა 1915 შემთხვევა თვით მკვლელობისა, გამოძიებას აღმოუჩინა, რომ ეს შემთხვევები ყოფილა სხვადასხვა მიზეზებისა გამო. ამ მიზეზებში პირველი ადგილი უკავია ნივთიერ ხელმოკლეობას და გაჭირვებას, მეორე ადგილი ლოთობას. ზემორე აღნიშნულ მიზეზებიდან უფრო ხშირად თვითმკვლელობა გამოუწვევია ლოთობას...

ჟურნალ „Знание и Искусство“-ში (1903 წ. № 11) ვკითხულობთ ერთ სტატიას შემდეგი საგულისხმეო სათაურით: „ნიკეა-რას თუ არა ალკოგოლი?“.

პასტერის ინსტიტუტის ზედამხედველმა პარიზში დიუკლომ ალკოგოლი იცნო ნივთიერებად. ასეთმა მოულოდნელმა გამოკვლევამ იმისთანა ნივთიერების შესახებ, რომელიც ჩვენში დღემდე ცნობილი იყო საწამლავად, გამოიწვია გამწვავებული პოლემიკა საფრანგეთში და ჟურნალ „Revue des Besus“-მა საკიროდ დაინახა გაეგო აზრები სხვადასხვა სწავლულებისაგან ამ კითხვის შესახებ. ორი მისი ინსტიტუტის თანამშრომლები წინააღმდეგ ამ აზრს. აქიმი რუ სწერს: „ესტქვათ დიუკლოს შეხედულობა ამ საგანზე სწორია და ნივთიერი

გამოდგა ალკოგოლი. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც არ უნდა დავყაროთ ფარ-ხმალი ალკოგოლის წინააღმდეგ საბრძოლველად. ის, ვინც მიჩვეულია ალკოგოლს, არასოდეს არ მიიღებს ისე მცირე და შეზავებულად, როგორც ამას ურჩევენ მას. ღვინოს თუ ცრტას დაღვეს ადამიანი, ის საამისო ზიანს არ მოიტანს“.

უფრო სასტიკ პასუხს იძლევა მენიკოვი. „ამდვილი გამოკვლევა ალკოგოლის გავლენისა ჩემს თავზე მე არ მიცდია ჰიგიენიურად, — სწერს იგი, — მაგრამ ჩემი ხანგრძლივი პრაქტიკა მარწმუნებს, რომ ალკოგოლი საწამლავია. მე თითონ არასოდეს არ ვსვამ ალკოგოლსა, მაგრამ როდესაც მახლობელ მეგობრებში მომიხდება გემოს გასინჯვა, მაშინვე თავის ტკივილი ამიტყდება. რასაკვირველია, სახეშია მისაღები მსმელის ტემპერამენტი, ერთი რომ იოლად აიტანს, მეორეს უძნელდება საწამლავის მიღება“.

ცნობილი ქიმიკოსი ბერტული სწერს: „ალკოგოლი ნივთიერება არაა. უეჭველია, რომ იგი იედინთება ორგანიზმში, მაგრამ ნაწილი ალკოგოლისა ამასთანავე ორთქლად მიდის, რომელსაც ვტყობილობთ მსმელის სუნთქვით, მაშინ ორგანიზმი გარსი აღარ ახლდება“. ამერიკელი მკვლევარი ალგატერი ამბობს, რომ ალკოგოლს იშრობს ორგანიზმი. ცოტაოდენი ალკოგოლი აღმძვრელ საწვავებად შეიძლება იცნოს კაცმა ნერვების სისტემისათვის და ზოგიერთ შემთხვევაში, სხვადასხვა ნივთიერებაში შერეული, ქინაქინის ადგილს იჭერს. ისტორია გვასწავლის, რომ ალკოგოლით ბოროტ-მოქმედება ზოგიერთ ადამიანთა მოდგმას დაღუპვის გზაზე აყენებს. ამოწყდნენ მაგალითად ველური ხალხები. ევროპელებისთვისაც ალკოგოლი ფიზიკური და მორალური გახრწნის მიზეზია. ასეთი ხალხის დაღუპვიდან გადაარჩენა შეიძლება მხოლოდ სასტიკ ამკრძალველ კანონებით ალკოგოლის წინააღმდეგ, როგორც შემოღებულია სკანდინავიის სახელმწიფოში“.

აქიმი პროფესორი ბრუარდელი ამბობს: „ჩემი ფიქრით ქიმიური შედგენილება ნივ-

თიერებისა კიდევ არ იძლევა საბუთს მისას, რომ იგი ნოციერია. ორი ნივთიერება ერთი და იგივე ქიმიური შედგენილებით შეიძლება იყოს ამ მხრით სხვადასხვა ნაირი: ერთი ნოციერი და მეორე კი არა. მხოლოდ დიდი ხნის გამოცდილებით თუ ახსნის ამ კითხვებს ადამიანი“.

რიშე ასე მოგვიგებს: „ალკოგოლი რომ ნოციერი ნივთიერებაა, ეს უეჭველია, განსაკუთრებით სრულიად შუმი, გაწმენდილი, უზიანოა; ესეც დასაჯერებელია, მაგრამ აქილამ რომ ის დასკვნა გამოიყენათ, რომ ალკოგოლი კარგი ნოციერი საშუალებააო, ეს კი მეტი იქნება. ამ დროში რომ ამდენი იხარჯება ალკოგოლი, იმას კი არ უნდა ვცდილობდეთ მეტად გავავრცელოთ იგი, არამედ უნდა შევამციროთ. ამისათვის პრესსაში და ლექციონაში ბრძოლა უნდა გაუწიოთ ალკოგოლსა. ალკოგოლის მისთვის კი არ ღებულობენ, რომ ნოციერია, არამედ მისთვის, რომ ჭკუა დაიბნელონ, დროებით გრძნობა დაჰკარგონ“.

ნიცელი პროფესორი **ბერნგეიმი** შემდეგი შეხედულობისა ამ საგანზე: „ალკოგოლი კაცმა რომ სთქვას, ისეთი მედიკამენტი, რომელიც, როგორც ნოციერი ნივთიერება, შეიძლება ურჩიოს კაცმა ჯანის გამოსაბრუნებლად სწეულთ. ზედმეტი ალკოგოლი ყოველთვის საწამლაია, რომელიც ჰკლავს სულსაცა და ხორცსაც. მისგან წარმოსდგება მოჩვენებები, გალიუკინაცია, ჭკუაზე შეშლა და ქლექი. მით უფრო საშიშია ეს საწამლაი, რომ ის თითქო თანდათან ახალ-ახალ ძალას მატებს კაცსა, აბრუებს და ახლისებს მსმელსა; დიდი ბრძოლა ამის წინააღმდეგ საჭირო, სრულიად უნდა აიკრძალოს ღვინო, რადგან ნამეტნავად სწყენს ადამიანს“.

ფრანგები ხომ ძრიელ წინააღმდეგობას უწყვენ ალკოგოლს.

გადავიხედოთ ახლა რუსეთის სახელმწიფოში და გავიგოთ, რამდენი ზარალი მოაქვს იქაურ მკვიდრთათვის ალკოგოლსა და რა ზომებია მიღებული მისი გავლენის თავიდან ასაცილებლად.

რუსეთში, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, მეტი ხარჯი აქვს არაყსა; ყოველწლივ

ბევრსა სვამს რუსი: დიდი და პატარა, კაცი და ქალი. აქაც სავალალო შედეგი მოჰყვა არაყის სმას: გავრცელდა უსაქმურობა, ეკონომიურად უკან დაიხია ხალხმა, შიმშილი ქრონიკული შეიქნა, ცინიკურმა სწეულებამ ფეხი მოიდგა ყველგან და მუსრს ადენს მსხვერპლს; ერთი სიტყვით, ალკოგოლმა რუსეთში უფრო მტკიცე ნიადაგი მოიპოვა და თავის კლანჭები მაგრად ჩაურქო უღმობელ მსხვერპლს.

როდესაც თვალჩინებული შეიქნა სიმთვრალის შედეგი, მაშინვე ყველა შეგნებულმა ელემენტებმა გამოიფხიზლეს და მოინდომეს მასთან ბრძოლა. ერთ—ერთ საბრძოლველ იარაღთ მთავრობამ მიიღო სახაზინო მონოპოლია არაყის გასასყიდათ. სასმელები იძლევა შინ წასაღებად და არა იქვე, ადგილობრივ დასაღევად. ამისთანა ზომებმა სასურველი ნაყოფი მაინც ვერ გამოიღო. წამოდებულ მაგარ სასმელებს ქუჩებში ზეზე სვამდა მყიდველი, თვრებოდა და იქვე გორავდა.

მღვ. კ. ანთაძე

შემდეგი იქნება.

დეკანოზ იოსებ კიკაჩიძევილის კარგად-ცვალების კამო.

17 აგვისტოს ნახევარი წლის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ქალაქ ქუთაისში ქუთაისის საკათედრო სობოროს კანდელაკი დეკანოზი იოსებ სტეფანეს ძე კიკაჩიძევილი. განსვენებული მეტათ გულკეთილი, პატროსანი და უანგარო კაცი იყო. როგორც სულიერი მოძღვარი, იგი აღჭურვილი იყო მტკიცე სარწმუნოებით, უეჭვო სასობებით და წრფელი სიყვარულით როგორც ღვთისადმი, ისე მოყვებისადმი, თუმცა საშუალო განათლებაც არ ქონდა მიღებული, მაგრამ თვით განვითარებით და მუყაითი შრომით ისე გაიწვრთნა თავი თვისი, რომ ბევრ მაღალ განათლებულ პირებს აკვირებდა. ეპისკოპოსი გაბრიელი დიდათ აფასებდა მის მტკიცე ხასიათსა და პრაქტიკულ გამოცდილებას.

განსვენებული დაიბადა 10 იანვარს 1838 წ. სოფელ ჯიხაიშში, ქუთაისის მაზრაში. მამა მისი იყო მღვდელი. 1850 წ. თორმეტი წლის იოსები მამას მიუბარებია ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ 1857 წ. სახაზინო ხარჯით აგზავნიდნენ თურმე თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ მამამ ნება არ დართო და თავის ჯიხაიშის მთავარანგელოზის ეკლესიაზე გაიმწესა მედავითნეთ 1858 წ. აქ დიდ ხანს ვერ გაჩერდა, რადგან მის მკვირცხლ ბუნებას სწავლა და განათლება სწყუროდა, ამიტომ ითხოვა ქუთაისის საკათედრო სობოროში მედავითნეთ გადაყვანა და კიდევაც გადაიყვანეს 1861 წ.

1864 წ. ხელდასხმულ იქმნა ღიაკნად და იმსახურა სობოროში ვიდრე 1869 წ. ერთ დროს იყო სასულიერო სასწავლებელში გალობის, ტიბიკონის და საეკლესიო წიგნების კითხვის მასწავლებლად. 1869 წ. ეკურთხა მღვდლათ ჩხარის წმ. გიორგის ეკლესიის სახელზე და განწესებულ იქმნა ჩხარისა და სიმონეთის საკეთილმოწესო ოლქების კეთილმოწესეთ, სადაც ყველანი დღესაც კეთილად იხსენიებენ. აქედან ინიშნება ქუთაისში საპრობილის ეკლესიის მღვდლად და ჩუნეთის საკეთილმოწესო ოლქის კეთილმოწესედ. შემდეგ ქ. ქუთაისის ეკლესიების კეთილმოწესეთ.

სობოროში მღვდლათ გადაყვანილ იქმნა და დაინიშნა კანდელაკად 1877 წ. ამავე ქუთაისის სამღვდლოების მოძღვართ მოძღვრად არჩეულ და დამტკიცებულ იქმნა 1891 წ. და მსახურებდა მდგომარე წლის მაისის თვემდის, მაშინ კი მძიმე ავადმყოფობის გამო ყველა სამსახურს თავი დაანება.

მღვდლობასთან ერთად განსვენებული ასრულებდა სხვადასხვა საპატრიო სამსახურს, როგორც არის დეპუტატობა, სასწავლებლების სამმართველოს წევრობა, სამზრუნველოს წევრობა. აგრეთვე იმსახურა სასულიერო ხაზინის ხაზინადრად, სანთლის მაღაზიის მმართველად და ყველგან განსვენებულს სინდისიერათ, გულწრფელად და მუყაითად უმსახურია, და თუ

რამე შეცდომა მოსვლია, ისევე თავისი ზოგიერთ ხელქვეით თანამშრომელთა უკეთურებით და უმადურობით, რომლებთაც მისი რწმენა და ნდობა ბოროტად მოუხმარიათ.

თითქმის მთელი ქუთაისის სამწყსოს მესამედი მასთან აღიარებდა აღსარებას. განსაკუთრებით შესანიშნავი და სანატრელია მისი მოძღვართ მოძღვრული სამსახური. ყველას შესაფერ დარიგებას აძლევდა, შეცთომილთ მონაწილის გზაზედ აყენებდა და თან სიყვარულს და მამობრივ მზრუნველობას არავის აკლებდა. ამნაირად დიდი პატივისცემა ქონდა დამსახურებული მთელ სამღვდლოებაში. ამასთანავე საკურთხ პირებსაც, როგორც მოძღვართ მოძღვარი, ის აფიცებდა ხელდასხმის წინ და უნდა თვით განგეცადათ, ან მოწამე ყოფილიყავით, მისი დარიგებისა, რომ ნამდვილ დაგეფსებით მისი მწყემსური დარიგება წინამდებარე ეკლიან გზაზე უშიშრად და უვნებლად მოღვაწეობის შესახებ.

განისვენა 75 წ. მოხუცმა ღირსეულმა მწყემსმა და შეუძლია წარსდგეს მწყემსთა მთავრის—ქრისტეს წინაშე და კანდიერათ სთქვას: „სრბა აღმისრულებიეს მოღვაწეობა მომიღვაწებიეს, სჯული დამიმარხავს და აწ მოველი გვირგვინსა სიმართლისასა.“ დეკ. ი. აბესაძე.

ს ი ტ ყ ვ ა,

დეკ. იოსებ გიკაჩეიშვილის ცხედრის წინ.

ყოველნი მხედრეთ მე წინაშე თქვენსა უხმოდ და უსულოდ მდებარესა, სტიროდეთ ჩემთვის, ძმანო და მეგობარნო, მოყვანო და მეცნიერნო.

ცხედრის და მიცვალებულის დანახვაზე არ შეიძლება კაცი არ შეწუხდეს და გულ-გრილად უყუროს, ეინც უნდა იყოს კუბოში, თუ გინდ ძლიერ მოხუცებულიც. მწუხარება მონათესავეთა ამ შემთხვევაში აწუხებს გარეშე პირთაც. დღეს კი შენი ცხედრის დანახვაზე, მამაო დეკ. იოსებ, გამოუთქმელ მწუხარებას ვგრძნობთ არა როგორც გარეშე მაყურებელნი, არამედ როგორც თვით ქირისუ-

ფილნი შენი დაკარგვისა. შენი ოჯახობის და მონათესავეთა მწუხარება ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რადგან მათ მწუხარებას გარდაემატა ჩვენი მწუხარება, ვინაიდან იყავით ჩვენი წინ დახედული მოძღვარი, მშვიდისულოთ, გულკეთილი, ყველასათვის მისაბაძავი, აღამსრულე-ბელი ღვთისმცნებათა, სიმართლის მექონე და მოყვარული ყოველთა. იყივი მოძღვართ-მოძღვარი, შეიყვარე შენი მოწაფენი, როგორც შვილნი, აგრეთვე მათ უყვარდით, — როგორც მამა. დღეს კარგვენ შენი სულიერნი მოწაფენი შენისთანა ღვთისნიერ მამას. ნიშნად ღრმა პატივისცემისა და სიყვარულისა ჩვენ შენი თანამანი, სობოროს კრებულნი, ვევედრებით ლოცვათა შინა ჩვენთა იესო მაცხოვარს, რომელსაც შენი ბაგენი აქებდენ და აღიდებდენ, გოდლოდეს წინაშე ღვთისა მამისა, რათა ზეციერმა მამამ განგისვენოს საეანესა თვისსა, ხოლო ჩვენს გულში არ გამქრალიყოს მოძღვრებით შენ მიერ შთანერგული მტკიცე სარწმუნოება ღვთისა და სიყვარული მოყვისსა, და მასთან შენი სახელის ხსენებაც.

მთავარდიაკონი ისიდორე სვანიძე.

წერილი ზემო იმერეთიდან

(მერვეის საზოგადოება)

ს. ს. უსახელო და საბაჟო და მათი სამრევლოს მდგომარეობა-ვითარება.

თუმცა უხსოვარ დროიდან ჩვენი სოფლისათვის „უსახელო“ დაურქმევიათ, მაგრამ იგი მართლა უსახელო კი არ არის. ადგილის მდებარეობა — ნოყიერობა, ხალხის დაგანძულობა — შეძლებულობა ამ სოფელს სახელოვან სოფლათ ხდის სხვა სოფლებთან შედარებით. ამ სოფელში ირიცხება 212 კომლამდე, რომლიდან 24 კომლი მიწერილია ნიგოზეთის ეკლესიაზე შტატის ვადიდების გულისთვის, თუმცა სასაფლაო, ეკლესიის მონაწილეობა მათ უსახელოს ეკლესიაზე აქვთ. 65 კომლის წყალშავიდან, საბაჟოს ეკლესიაზე არის მიწერილი 1892 წლიდან განსვენებული თავ. კ. ერისთვის გულისთვის და მისი ვაჟდენით. ამათაც სასაფლაო

უსახელოს ეკლესიის ვალაჟანშია აქვთ და ამათი სული და გულიც აქვე ტრიალობს. „შაბათი კაცისათვის და არა კაცი შაბათისათვის.“ ეს ბრძნული სიტყვა სახარებისა აქ დავიწყებიათ: ცდილან ღვდლის რჩენის გულისთვის შედგინათ მრევლი და არა მრევლის საქირობის მიხედვით მოეგვარებიათ საქმე. „სადაც არის საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენია“, ბრძანებს მაცხოვარი და ეს 89 კომლიც, ძალით მოგლეჯილი დედა ეკლესიას, თვისსაუნჯეთ თვლიან უსახელოს ეკლესიას და მის ვალაჟანს, იქ მიუხარიათ წირვა-ლოცვაზე, იქ მიაქვთ საკურთხები და იქ არიან შეკავშირებული სულით და ხორციით. — უსახელოს ხალხი განირჩევა სხვა ხალხიდან სტუმართ მოყვარეობით, ეკლესიის, და წირვა-ლოცვის სიყვარულით. — მოსავალი აქ ერთობ კარგი იცის, წელსაც მიუხედავად ცუდი ამინდებისა, აქ სარჩო საკმარისი მოვა; დიდ ძალი სიმინდი გაზიდეს ქემოურებმა ამ ზაფხულზე აქედამ სულ იაფათ. — ღმერთთან სამღურავი არაფერზე უმართებსთ უსახელოელებს, მხოლოდ ეკლესია და ვალაჟანი ვერ აქვთ სასურველ მდგომარეობაში და ამაზედ კი თვით არიან დასამღურებელნი, ვერ გაუძღვენ რიგიანათ საქმეს და ამ სამი წლის წინათ დაწყებული სამრევლოს აშენება, ეკლესიის რკინის საღებავით გამაგრება და ფანჯრების გაფართოვების სურვილი თანახმად ეპირქიალურ მთავრობის ბრძანებისა ვერ მოიყვანეს სისრულეში. გაურიგდენ ვილაც ვალეტელ მოიჯარადრე ბერძენს, რომელმაც ფული თითქმის სულ გამოტყუა ხალხს და მერე სადღაც მიიმალა. სამრევლო თუმცა აშენებულ იქნა არის და დახურულიც, მაგრამ კიდევ ბევრი მუშაობა სჭირდება შიგნით. საყდრის კედლები აქა-იქ ფანჯრებისათვის გამოამგვრია ოსტატმა და ისე მიატოვა; ვალაჟანში ნახირი დანავარდობს და აბინძურებს იქაურობას. აქ, რასაკვირველია, ბრალი ედება ეკლესიის კრებულსაც, ღვდელს უმთავრესათ, რომ რიგიან მეთაურობას ვერ უწევს სოფელს, მაგრამ ეს იმიითი აიხსნება, რომ ჩვენი ღვდელი დაავათმყოფებულია და რა მოეთხოვება ასეთ ადამიანს.

ჩვენც ვითმუნდით და ვინახავდით მას, ვხედავდით რა მის უძღურებას და თან დიდ გაჭირვება-სიღარიბეს. არც ერთს ჩვენგანს, მე მგონი, არ უკადრებია ამისი დაბეჭდვა მთავრობასთან. დღეს კი ჩვენ ერთობ ვაგვაოცა ერთმა ამბავმა: გავრცელდა ხმა, რომ მღვდელს ითხოვენ სამსახურიდამო, ვილაკას დაუსმენია ეპისკოპოსთანაო და მის ადგილზე გადმოყავთ შორი ეპარქიიდან ამ ღვდლისავე მეგვარე ღვდელი, რომლის შესახებ მიმოთქმა არის, რომ მან დაასმინა თავისი ნათესავი და შეაწუხა ღვდელ-მთავარი გავლენიანი კაცების თხოვნით ამ ადგილზე გადმოყვანის თაობაზეო. თუ მართალია, არ გვესიამოვნა. ჩვენ როგორ გვითვისებს თავისიანის მოღალატე, რა ნდობით უნდა შევეყურებდეთ ჩვენ მის მოძღვრებას ჩვენში. მერე საქმე რომ არ უქირს ისე, რომ სხვას სამარე ვაუთხაროს? მარტო ჩვენ სოფელში ორასი თუმანი მართებსთ მისი და სხვაგან სხვაა. ჩვენი ღვდელი კი ძლივს-ძლივობით არჩენს თავის ცოლშვილს. ჩვენ შევიბრაღეთ და თავისიანმა და ისიც მოძღვარმა ასეთი საფრთხე მოუშადა მას? ჯერ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი მეუფება არ გარისხავს გაჭირებულ ნამსახურ ღვდელს და ისევ თავის თანამდებობაზე დასტოვებს მას და უკეთუ ეს შეუძლებელი იქნება, მაშინ გამოგვიშვებს ისეთ პიროს, რომელსაც ნდობა და პატივისცემა აქვს დამსახურებული უკვე ჩვენ თვალში. რომ ჩვენ გვეკითხებოდეს რამე, ჩვენ აქვე ახლოს გვეგულება ჩვენთვის გამოსადეგი ღვდელი, მაგრამ მგონი აღარას კითხვენ ხალხს. ჩვენ გვეჭირება კარგი მეთაური, საქმის მოყვარული და კარგი მოლაპარაკე-მოქადაგე ღვდელი და იმედია მათი მეუფება მრავალ მთხოვნელებში ასეთს ამოგვიჩვენს და გულს არ გვატყენს ჩვენთვის უსიამოვნო მოძღვრის გამოშვებით.

რაც შეეხება საბაჟოს ეკლესიას და მის მრევლს, ამაზე უნდა ითქვას, რომ ძლიერ უხერხულაოთ და ხელოვნურაოთ არის შემდგარი ამისი სამრევლო: 18 კომლი ბერეთისიდან, 18 — მანდაეთიდან, 64 — ს. წყალშავიდან ამოუგლეჯიათ და ამით

გაუშტატებიათ კარის ეკლესია თავ. ერისთავისა. ამაზე (ეკლესიაზე) მიუწერიათ 9 ვერსზე დაშორებული ს. მეჩხეთური 57 კომელი მცხოვრებლებით და ერთი ღვდლისთვის მიუჩინათ ყველა ეს. ვისაც აქაური ზამთარი და დიდი თოვლი არ უნახავს, ის ვერ წარმოიდგენს. თუ რანაირ გაჭირვებაში არის ჩავარდნილი, როგორც ერი, ისე ღვდელი. ამ ორი თვის წინეთ ყოვლადსამღვდელოს თხოვნა მიართვეს 18 კომლი მანდაეთლებმა და ითხოვეს გადაწერა ისევ მანდაეთის ეკლესიაზე. მგონი სამართლიანათ უცენია მათ მეუფებას ეს თხოვნა და უპირებს დაკმაყოფილებას, მაგრამ უნდა ვფიქროთ, რომ მანდაეთის მაგალითს მიბაძავს წყალშავი და ბერეთისაც და ითხოვენ იმ ეკლესიაზე გადაწერას, სადაც სასაფლაოები აქვთ (სა. ბაჟოს ეკლესიაზე არ არის სასაფლაო). მეჩხეთური ხომ დიდი ხანია ფიქრობს ცალკე ღვდლის შოვნას. და ეს ასე რომ იქნეს მაშინ ხომ მთლად გაუქმდა საბაჟოს ეკლესია და მისი შტატი და მრევლი? ჩემი ფიქრით, ან ყველას უარი უნდა ეყოს ხელახალ გადაწერ-გადმოწერაზე, ან ყველას თხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. „თქმა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ და ამიტომ მართალი უნდა იქნას კაცმა. საქმისთვის აჯობებს, რომ თითოეულ მათგანს აუსრულდეს მათი სურვილი და საბაჟოს კრებულს კი მიეცეს სხვაგან შახლობლათ შესაფერი ადგილი. ამით სამრევლოებს არა დააკლდებათ, მხოლოდ ერთი ღვდლის ადგილი დაიკარგება, მაგრამ სამაგიეროთ მეჩხეთური ვახსნის ამ ადგილს. ეს საქმე საწყენათ დარჩება დიდათ პატივცემულ კნენია ნატალია აღმასხანის ასულს ერისთვისას, (ქვრივი კ. ერისთვისა), რომელიც ითვლება აღმაშენებელად საბაჟოს ეკლესიისა, (თუმცა დღეს-ღვობით ეს ეკლესია მოკლებულია მზრუნველობა-ყურადღებას დადებული მისგან ხელშეკრულობისა). ან კი რათ უნდა ეწყინოს დალოცვილს! თუ ხალხისთვის აავო ის ეკლესია, ხალხი მას არ მიატოვებს და თუ არა ვისი რა ბრალია? ამ საკითხს დიდი დაფიქრება უნდა და ადგილობრ გარემოება - ვითარების აწონ-დაწონვას

თხოვლობს. ერთი კალმის მოსმით არ უნდა გადაწყდეს ეს.

ერთი მორწმუნე პრეველთაგანი.

რას გვწერენ?

სოფ. ცაიში-კახათი (ზუგდითის მაზრა).

ს. ცაიში - კახათი ნაწილია ცაიშის საზოგადოებისა და მდებარეობს დასავლეთით შავი ზღვისპირად, რომელიც შეიკავეს 220-230 მოსახლე კომლსა. აქაური მიწა ადგილი, უმეტესად ხაზინისა და ძალიან მოსავლიანია. მცხოვრებლები მუშაობაში მაცადინი ხალხია, დიდად მისდევენ ხვნა-თესვას და საკმაოდ მოყავთ სარჩო-საკვები კინახული. აქ ვერ ნახავთ კაცს, რომ არ მუშაობდეს.

ზუგდითის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალ-ყურედ ნამყოფმა მამა ტროფიმე ჯოხთაბერიძემ პირველად დაუარსა ამ პატარა სოფელს 1904 წ. ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა; სოფლები დიდი აღრთოვანებით შეხედნენ მის დაარსებას, ბეჯითად შეუდგნენ წერაკითხვის შეძენასა და ამიერიდგან თანდათან იმატა სწავლის წყურვილმა ასე, რომ არსებულმა სასწავლებელმა ვერ დააკმაყოფილა სწავლის მსურველნი. თითქმის ყოველ წლობით სკოლის გარეთ რჩებოდა მომეტებული რიცხვი უმაწვილებისა. ამიტომ მოინდომეს სასწავლებლის გაფართოება, ესე იგი ორ-კლასიანად გადაკეთება. ამისათვის საჭირო შეიქნა სკოლის შენობის გადიდება და მეორე მასწავლებლის დაქირავება, რაც შეუძლებელი იყო ამ პატარა სოფლისათვის: მაგრამ არც ამას შეუშინდა სოფელი. მოიწვიეს მასწავლებელი ცოტა სასყიდლით, დაიქირავეს მისთვის დროებით სახლი და გამართეს სწავლა. გაჩაღდა სწავლა, სოფელი სიხარულს მიეცა. რაკი სწავლის სარგებლობა შეიგნეს, დაადგინეს განაჩენი არსებული სკოლა ორ-კლასიანად გადაკეთდეს და შენობისათვის

გამოიღონ 1200 მანეთი. ამ საქმეში მონაწილეობა მიიღო და დიდი შრომა დასდო ადგილობრივმა ბლადოჩიმა მამა ბესარიონ თოდუამ. მას გვერდში ამოუდგა და ენერგიულად ხელს უწყობდა განვითარებული პირი, მამასახლისად ნამყოფი (იმ დროს მამასახლისად იყო) ბასილ შამუგია, ამას თან მიყვნენ აზნაური ალექსანდრე მუენარგია და ადგილობრივი მოვაჭრე ალექსი ქირია, რომლებმაც სიტყვით და მოქმედებით დიდი ღვაწლი დასდევს სკოლის საქმეს. ამთგან გამხნეებულმა ხალხმა მხარი მისცა ერთმანეთს ერთი გულით და ერთი სულით შეუდგნენ სკოლის საქმეს, აირჩიეს შენობის აღმშენებელი პირები - დეპუტატებად — ფრიად მართალნი და სანდო კაცები რომლებიც იყვნენ: ივანე, სანდრო, თედო ქირიები და დიმიტრი წიწავა. დაიწყეს სკოლის შენობის კეთება, ამავე დროს სოფლის დიდმა თუ პატარამ, ქალმა და კაცმა გამოიღეს თავიანთი წვლილი და მოათავეს სკოლის შენობა — შვიდი თვალი სახლი, რომელიც საუკეთესო ხის შენობად ითვლება ზუგდითის მაზრაში. დიდ მადლობას უძღვნის საზოგადოება მამა ბლადოჩინ ბესარიონ თოდუას, რომლის მეცადინეობით მეორე მასწავლებელს დაენიშნა ჯამაგირი მთავრობისგან. აგრეთვე დიდ მადლობას უძღვნის საზოგადოება მამასახლისად ნამყოფ ვასილ შამუგიას, სკოლის დეპუტატებს: ივანე, სანდრო, თედო ქირიებსა და დიმიტრი წიწავასა, რომლებმაც სახლ-კარი მიატოვეს და სკოლის საქმეს თავი შესწირეს. ხოლო მოკანტრახტე ბევი გრიგოლავას უზომო მადლობასა სწირავს საზოგადოება, რადგან მას არ ეყო შენობისთვის გადადებული 1200 მანეთი ფული და თავისი ჯიბიდან დაუმატა 300 მანეთი. ამგვარად სიყვარულით და ურთ-ერთის დახმარებით ამ პატარა სოფელმა შეგნებით წინ გაუსწრო სამეგრელოს ყვალა სოფლებს, დღეს სოფელს აზრად აქვს დაიარსოს უფასო სამკითხველო, სოფლის ბანკი და სამეურნო განყოფილების სკოლა.

მასწავლებელი ამავე სკოლისა
თემურაზ კიკინაძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

ჩვენ, ქვემოთ ამის ხელის მომწერნი, თანახმად რედაქციის იმ წერილისა, რომელიც მოთავსებულია შინაური საქმეების № 30—31, ამ უმად ვირჩევთ პირველ წინადადებას, წლიურად სამი მანეთის შემოტანას ძმობის სასარგებლოდ იაფ-ფასიან და მუქთათ დასარიგებელ სახალხო წიგნების გამოსაცემათ. შემდეგ ვმცდებით ძმობის გამოცემული წიგნებიც შევიძინოთ საკუთარ და საეკლესიო წინგთსაცემების გასაძლიერებლათ. ამასთანავე გთხოვთ. მ. რედაქტორო, განგვიმარტოთ ეს საწევრო ფული ვის წარუდგინოთ. სოფ. მალაკიდან ვეწერებით წევრებათ. მღვდ. ი. ჟორჯოლიანი, მღვდ. ლ. ჟორჯოლიანი, მღ. იას. ჟორჯოლიანი, და მღვდლის ძე ლუკა ითანასეს ძე ხაზარაძე.

მღ. ი. ჟორჯოლიანი.

საწევრო ფული გთხოვთ გამოგზავნოთ ქ. ქუთაისში ძმობის მდივნის ტრიფონ ჯაფარიძის სახელზე.

რედ.

მამაო რედაქტორო!*

თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეები“ს მე 17-ტე ნომერში შორაპნის საბლალაჩინო სამღვდელთა კრებაზე ვილაც „დამსწრე“ მე და მღ. პ. კავილაძეს გვწამებს „იმ დღესვე“, ე. ი. 16 აპრილს, ცუდი საქციელის ჩადენას. ამისთვის უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის მახლობელ №-ში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ წერილს და მით შეგვაძლიერებოთ თავი ვიმართლოთ პატივცემული მკითხველი საზოგადოების წინაშე¹⁾. კარგია მხილება ადამიანის გასასწორებლად, ვინ ყოფს ამას უარს, მაგრამ მხოლოდ იქ სადაც დამნაშავეა კაცი, ხოლო ჩვენ კი იმ დღეს სრულებით არა ჩავიდენია რა საიმისო. „დამსწრეს“ უდევნებია თვარ-ყური და შეუტყვია, რომ ჩვენ ვითომც ავათმყოფი მოსანათლავი

* ეს წერილი გამოგზავნილი იყო ჩემ მიერ თავის დროზე, მაგრამ გამოურკვეველი მიზეზისა გამო დაკარგული აღმოჩნდა.

¹⁾ დამსწრის წერილში მღვდლების გვარები არ ყოფილა აღნიშნული

ბავშვის პატრონი გაგვეწვალებინოს და დროზე არ გავყოლოდეთ ბავშვის მოსანათლადად! ბ. „დამსწრე“ თავიდან ბოლომდე სიცრუეს ბრძანებს ჩვენ შესახებ. გასაკვირალი ის არის, რომ იმ ორკაც-თავანი, რომელიც აღმართის გამოავეს უნახავს „დამსწრეს“, ერთი პრიჩეტნიკი იყო და ის უთუოთ მეტყოდა რასმე დაგვიანების შესახებ. საქმე აი როგორ იყო: მე და მღ. პ. კავილაძე თანახმად ბლალაჩინის მოწოდებისა ერთად წავედით ძირულაში კრებაზე დასასწრებად 16 აპ. დილით. იქ მოსულიყო კავილაძის მრევლთაგანი მ. ი. და ეთხოვა ბავშვის მონათლა. რადგან კავილაძე სახლიდგანვე გამოგზავრებული იყო იქიდან ს. ბელაგორში თავისი საქირო საქმისთვის წასასვლელად, მიმიხმო და დამავალა მე მომენათლა მისთვის ბავშვი. მეც შევეპირდი. კრება დაიშალა, წამოვედით. 1—2 საათი იქნებოდა. იაშვილს ვუთხარი: მე უსადილო ვარ, ცოტა პურსა ვკამ, ჩემთან იყავი და ერთად წავიდეთ მეტქი. მან მიპასუხა: მე უკვე ვისადილე, მე და ეს მედავითნე წინ წავალთ, ამ აღმართს ავივლით და თქვენც მოგვეწვივით, რადგან ქვეითები ვართო. ცოტა ხნის შემდეგ მე მართლაც მივეწიე მათ. (ღეთის წინაშე იქით და აქეთ 15—20 ვერსტის გამველემმა მშიერმა კაცმა რომ პური სკამოს, ისიც 2 საათზე, თუ ცუდი საქციელის ჩადენაა, არ ვიცი!..) შემდეგ რა მოხდა, ამას მოვახსენებ ბ. „დამსწრეს“ და მაშინ ეგებ დავარწმუნო, რომ ჩვენ იმ დღეს არავითარი ცუდი საქციელი არ ჩავიდენია. წინა დღით, როგორც შევიტყვე მას უკან, მთელი დღე უღარაჯებია მღ. პ. კავილაძეს და ნათლია არ მისვლია. ახლაც თურმე არ ეგულებოდა ნათლია და რომ მიუახლოვდით მისს სახლს, გაგვეპარა სხვა გზით. მე და მედავითნე მივედით და ის კი ემზადებოდა სადაც წასასვლელად. სად მიხვალ? ვკითხე. — მამაო, ნათლია არ მოსულა და ზესტაფონში მივალ უნდა მოვიყვანო! გთხოვთ დღეს შინ წაბრძანდეთ და ხვალ 10 საათზე მობრძანდეთო. რას ვიზამდი წავედი და მეორე დღეს, ე. ი. 17 აპრილს ნაშუადღევს 2 საათზე ძლივს მოიწყო ხელი და მონათვლია ხსენებული ბავშვი. აი ასე იყო ეს

საქმე. ამ გარემოებას არც ბლალოჩინის ყუ-
რამდის მიუხედავად, არც ყმაწვილი ყოფილა ავათ-
და არც ის კაცი თავქვე დაშვებული ხელ-
მეორეთ ბლალოჩინთან და დიდი გასაკვირვა-
ლია „დამსწრეს“ საიდამ მოეჩვენა!...

მღვდელი დავით კვიციანიძე.

მამაო რედაქტორო!

გთხოვთ ნება გვიბოძოთ ქვენი პატივცემული
გაზეთის „შინ. საქმეების“ საშვალებით გამოვაცხა-
დო შემდეგი: ბ. ქრისტეფორე კონ. მიქაშავიძემ
კეთილ-ინება და მის ნაცნობთა შორის მოაგ-
როვა ზემოფარცხმის შკოლის სასარგებლოთ
ფული. აი სია: 1. ქრისტეფორე კონ. მიქა-
შავიძე 5 მან. 2. ლავრენტი მატკაია 1 მან.
3. ივანე კილურაძე 1 მან. 4. ივანე კილურაძე
50 კაპ. 5. ილიკო კოსტაია 50 კაპ. 6. ნიკო
სიმონ. მახარაძე 50 კაპ. 7. მიხეილ მიმინო-
შვილი 50 კაპ. 8. ნოე გიგინეიშვილი 50 კაპ.
9. ბათლომე ქოჭუა 40 კაპ. 10. ერმილე
ბოლქვაძე 40 კაპ. 11. გიორგი ვაბუნია 30 კაპ.
12. კოსტანტინე რუხაძე 30 კაპ. სხვა და სხვა
პირთაგან წერილი: 12 მან. 91 კაპ. სულ: 23
მან. და 81 კაპ.

შემწეობის აღმოჩენთ ჩვენისა და მცხოვ-
რებთა სახელით უგულითადეს მადლობას უძ-
ღვნით. სრული იმედი გვაქვს, რომ სწავლა გა-
ნათლების გულშემატკივარნი, ჩვენი სოფ-
ლის სიღარიბის მიმხედველნი ბევრნი გამო-
ჩნდებიან და მცხოვრებთ შეუმსუბუქებენ ტვირთს
ხსენებული შკოლის მიწის და შენობის შეძე-
ნაში, რომელიც ჯდება 3,000 მანეთამდე.

შემწეობა გამოიგზავნება შემდეგი ადრესით:
ჩოხატაურა ბლალ. მღ. ხარიტონ ცინცაძეს.

გამგე შკოლის ბლალ მღ. ხ. ცინცაძე.

შპრუნველნი: გრიგოლ ცინცაძე, სეფე ალ.
ტინცაძე, გიორგი ცინცაძე.

მასწავლებელი ი. ხომერიკი.

მამაო რედაქტორო!

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ
„შინაურ საქმეების“ მახლობელ ნომერში.

1910 წელს აგვისტოს თვეში მისი მეუფე-
ბა ყოვლადსამღვდელი გურია-სამეგრელოს
ეპისკოპოსმა ლეონიძემ დაათვალიერა ჩემდამო
რწმუნებული ზუგდიდის მაზრის გაშიფერდის
მაცხოვრის ეკლესია, სადაც მისმა მეუფებამ
ჩვეულებრივი ღრმა მნიშვნელოვანი მოძღვრე-
ბით გადმოსცა მრევლს დარიგება, რომ ნაც-
ვლად სიძვილეში მოსულ მათი ეკლესიისა
აღმშენებიათ ახალი ქართული გეგმის გუმბა-
თიანი. მისი მეუფების მოძღვრებამ იმოქმედა
მრევლზე. 4 იანვრიდან ამა წლის შენდება
ზემოხსენებულ სოფელში ახალი ტაძარი. ხსენე-
ბული სოფელი არის უნაყოფო ადგილი, ხო-
ლო მრევლი ყველანი დროებით ვალდებულნი
გლახები თავადის ტენგრელსკისა; მათ არა აქვთ
საკუთარი ადგილ-მამული და იმყოფებიან და-
რიბ მდგომარეობაში, მიუხედავად სიღარიბისა
ეზიდებიან ეკლესიის შენების მიმე ტვირთს.
მაგრამ ამ ახალი ეკლესიისათვის მოსაპოებე-
ლია ახალი სამკაულები, სიძველისაგამო ძველი
ეკლესიის სამკაულებისა, როგორც მაგალი-
თებრ: წმიდა სახარება, ტრაპეზის ჯვარ-
ი, შუა ტაძარში ჩამოსაკიდი კანდელი, შან-
დლები, ბაირაღები, გარდამოხსნა, კრეტ-საბმე-
ლი, ზარები და სხვა. ამიტომ მივმართავ ღვთის
მოყვარე ქველმოქმედთ, ნუ მოგვაკლებენ თავის
ყურადღებას.

კეთილ-მნებებელთ ვსთხოვ მიაწოდოს
ბოძებული ნივთი ახალ-სენაკში სასულიერო
სასწავლებლის საღვთო სჯულის მასწავლებელს
მღვდელს მ. გიორგი გამზარდიას, ხოლო ზუგ-
დიდში მაცხოვრის ეკლესიის მღვდელს მ.
გაბრიელ ჯიქიას ჩვენზე გადმოსაცემათ.

სიმდაბლით და პატივისცემით
მღვდელი მარკოზ მგალობლიშვილი.

მადლობის გამოცხადება

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვ ნება მიბოძოთ თქვენი
პატივცემული გამოცემის საშუალებით უღმერსი

მადლობა გამოუცხადო როგორც პირადათ მე, ისე ჩემი მრევლის მხრითაც, მოძღვართ-მოძღვარს მღვდელს მ. სიმონ კურტანიძეს იმ ქველმოქმედებისათვის, რომელიც მან სხვა და სხვა დროს გამოიჩინა რწმუნებულ ჩემდამო ეკლესიისა და შკოლის შესახებ!

იმ დროს, როცა სამრევლო შკოლები ხაზინიდან თითქმის არაფერს ღებულობდნენ, მ. კურტანიძემ თავის საკუთარი საშუალებით შეიძინა ეკ. მახლობლათ ადგილი და ააგო ზედვრცელი ქვითკირის შენობა, რაც მას შეიძლას მანეთამდის დაუჯდა, ხოლო უჯამაგირო მასწავლებლები ათი წლის განმავლობაში შეინახა თავისი ხარკით; ამავე შკოლის შეკეთებაზე 1907 წელში დახარჯა 40 მანეთი და წასულ 1911 წელში მოწაფეთა პარტებისათვის 20 მანეთი; შემოწირა ეკლესიას ბრწყინვალე და შავი სრული სამღვდლო შესამოსელი 85 მანეთათ ღირებული; ქრისტეს აღდგომის ხატი ოქროს ვარაყით დახატული 50 მანეთამდე ღირებული. ქადაგებანი ანტონ ჭყონდიდელისა და ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსისა 2 მან. და 50 კაპ. ღირებული; გადმომცა მოწაფეებში და მრევლში გასავრცელებლათ 400 ცალი მისგან გამოცემული წიგნაკი: „რას საჭიროებენ გადცვალებულთა სულნი და რით შეგვიძლია მათი დახმარება ასეთივე კეთილი შთაუთხრას უფალმა სხვების გულსაც ჩვენი ღარიბი ტაძრისა და შკოლის გამშვენებისათვის.

ლორეშის წმიდის გიორგის ეკ. მღვდელი
სიმონ ჭუმბურიძე.

მამაო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით, უღრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც ინებეს შემოწირვი ძველი მიტოვებული წკადისის წმ. გიორგის ელესიის განახლებისთვის ფულათ: 1) ბხალ-სენაკის სამინისტრო ორ-კლასიანი სასწავლებლის შედამხედველმა „ნადვორნი სოვეტნიკმა“ სპირდონ ივანეს-ძე ენუქიძემ 15 მანეთი.

2) ნიკო-სესიკას ძემ, 3) მალხაზა გიორგის ძემ, 4) სტეფანე და თემურა მამუკას ძეებმა, 5) სიმონ არსენას ძემ, 6) ბასილა ბეგანის ძემ, 7) მიქელა ივანეს ძემ, 8) გიგო გლახუას ძემ, 9) გაბო ივანეს ძემ, 10) იობა კაციას ძემ, 11) ქრისტესა ოტიას ძემ, 12) სოსია მათეს ძემ, 13) გიორგი ნიკოლოზის ძემ, 14) აღმასხან დიმიტრის ძემ, 15) საბა ოქრუას ძემ, 16) ლუკა ანდრიას ძემ, 17) ფრიდონ ეგნატეს ძემ, 18) პავლე გლახუას ძემ, 19) სოფრომ პავლეს ძემ, 20) და ვასილ ბიკოს ძემ უნუქიძეებმა თითო მანეთი.

წკადისის წმიდის გიორგის შტატის ეკლესიის
მღვდელი სიმონ ჯაფარიძე.

მამაო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების, საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც მე აგრეთვე მრევლის მხრითაც სოფელს სვერში (ეცეკი) მცხოვრებს აზნაურს ვლადიმერ ჯიბრაილის ძე წერეთელს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ორას ოცი მანეთი (220 მ) რწმუნებული ჩემდამო სვერის იოანე ნათლის მცემლის ეკლესიის გალანის ქიშკრების მოსაპოებლად. ვისურვებ მრავალი ესრეთი ქველმოქმედი პირნი აღმოჩენოდეს ჩვენს ეკლესიებს.

სვერის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის
მღვდელი გრიგოლ წერეთელი.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც პირადათ ჩემგნით, ისე სოფელ საწულეისკი-რიოს წმიდის გიორგის ეკლესიის მრევლის მხრით, ხსენებული ეკლესიის სამრევლოთაგანს აზნაურ იოსებ ბეგოს ძე ადამიას, რომელმაც

ამავე ეკლესიას კეთილ ინება და შემოსწირა გარდამოხსნა, ღირსებული 40 მანეთი.

მღვდელი თედორე წულეისკირი.

მამაო რედაქტორო!

უუმაბლესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „ზინ. საქმეების“ საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ, როგორც სამღვდელოებას; ეგრეთვე საერო პირებს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ჩემს უნუგეშო მწუხარებაში ჩემი საყვარელი შვილის ეფემიას და ძმის გიორგი ბლიაძეების გარდაცვალების გამო (პირველი გარდაცვალა 21 ივლისს და მეორე 6 აგვისტოს 1912 წ.) და რომლებმაც თუ პირადის ნახვით, თუ წერილებით მანუგეშეს და მით რამოდენიმეთ ჩემი გულის წყლულებას მისცეს ნუგეში.

მოწამეთის მონასტრის მღვდელმონაზონი
ილარიონი.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი და ჩემი სამწყსოს სახელით ქუთაისში მცხოვრებს სპირიდონ მოწონელიძეს, რომელმაც დაუხარებლათ კეთილ ინება და შემოსწირა რწმუნებულ ჩემდამო მაცხოვრის შტატის ეკლესიას შემდეგი ნიეთები, ღირებული სამოცმანეთათ: 1, სრული შავი მღვდლის შესამოსი, 2, ჯვარი ტრაპეზის, 3, გვირგვინები, 4, ტრაპეზის ფარჩა, 5, ბაირახები და განაახლა სახარება ხავედით.

მღვდელი ღვარდიის მაცხოვრის ელესიის
გრამიტონ სვანიძე.



დკპ. გიორგი ბერიძე.

24 ენკენისთვის სრულდება ორმოცი დღე, რაც წუთისოფელს გამოესალმა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოების ერთი საუკეთესო მოძღვართაგანი, ბლალოჩინი დეკანოზი გ. ბერიძე. განსვენებული რამდენათ კაი მეოჯახე იყო, იმდენათ კარგი მღვდელი და ბლალოჩინი იყო. ყ-დ სამღვდელო ლეონიდის უკანასკნელ რევიზიის დროს მამა გიორგის საბლალოჩინო საუკეთესოთ იქმნა ცნობილი მთელ გურია-სამეგრელოში. განსვენებული ნამდვილი მამა იყო რწმუნებულ სამღვდელოებისა, არ უყვარდა მლიქვნელობა, პირფერობა და ფარისევლობა, იყო პირდაპირი და გულ-ახდილი მოლაპარაკე. მიუხედავად თავის ხნეობისა მამა დეკანოზი თანამედროვე ცხოვრებას უკან არ რჩებოდა და ანგარიშს უწევდა ყოველ ახალ აზრს და მოძრაობას ხალხში თუ სამღვდელოებაში. მუდამ ცოცხალი, დაუღალავი და მკვირცხლი მამა გიორგი არასოდეს არ უჩიოდა თავის ბედს, თუმცა მისგან პირადათ დასჯილი იყო. მისი სურვილი იყო მისი ერთ-ერთი შვილი ღვდლათ კურთხებულიყო. უკანასკნელათ ივლისის პირველ რიცხვებში შემოიჭრა ჩემთან ქუთაისში მამა გიორგი და სხვათა შორის მითხრა, სამსახურს თავს ვანებებ, ეხლა მე და ჩემი შვილი ყ-დ სამღვდელოსთან ვიყავით, რავარც იქნა დავითანხმე და ჩემ ადგილზე უნდა ეკურთხოსო. მე რაღაც გული ამიჩუყდა და კრემლები მომერია.... უსურვებთ მამა გიორგი დეკანოზის საღვდლო შვილს მამის ანდერძი აესრულებიოს და მამის სახელი ედიდებოის თავის მოქმედებით. საუკუნოდ იყოს ხსენებაც მამა გიორგი დეკანოზისა! კარგი იქნება განსვენებულის მოკლე ბიოგრაფიას მოგვაწვდენდეს ვინმე გაზეთში მოსათავსებლათ.

რედ.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.